

## პროექტი №47

### აქტიური სწავლების საშუალებათა შექმნა და მათი გამოყენების ტექნიკური უზრუნველყოფა.

პროექტის ხელმძღვანელი – ვ. ნიკოლაიშვილი.

დაფინანსება – 8100 ლარი

პროექტის ფარგლებში დამუშავებულია სწავლების ხარისხის ამაღლების მწვავე საჭიროებასთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილი. შეიქმნა პროფესიული სრულყოფის დროული მიღწევის გარკვეული საშუალებები. პირველად შეიქმნა წრფივი ალგებრისა და ანალიზური გეომეტრიის ორიგინალური სალექციო კურსი, რომელიც მოიცავს I სემესტრის პროგრამულ საკითხებს; შემდეგ დამუშავდა ამ ლექციების სადემონსტრაციო მასალა, რომელიც გამიზნულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის საქმიანობაში დასანერგად. მიღებულია დადებითი გამოხმაურებები.

ძირითადი ყურადღება გადატანილია დასახული მიზნების ინტენსიური მიღწევისათვის მომავალში შესაქმნელი ელექტრონული სახელმძღვანელოს შემადგენელ, სანიმუშოდ შესრულებულ, გარკვეულ ნაწილზე. მისი ძირითადი დანიშნულებაა შემეცნების ხარისხობრივი მაჩვენებლების ისეთი დონის მიღწევა, რაც ტრადიციული მეთოდებით პრაქტიკულად გართულებულია. ეს პრობლემური სირთულეები აღიარებულია და დღის წესრიგშია ცნობილ მეცნიერთა გამონათქვამების სახით.

მოცემულია ელექტრონული სახელმძღვანელოს შესაქმნელად ცოდნის სტრუქტურის გამოყენების ნიმუშები. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით რეალიზებულია ძირითადი იდეა, რომელიც ეხება არამარტო სწავლების, არამედ ცოდნის ხარისხის შემოწმების ავტომატიზებას. ეს ყველაფერი პირველად რეალიზებულია მარტივი მასალის დონეზე, შემდეგ კი მიზნის წინასწარ ხედვით ვრცელდება ზოგად შემთხვევებზე.

### პუბლიკაციები

1. ვ. ნიკოლაიშვილი, დ. კაპანაძე, თ. ჟვანია, ა. კობიაშვილი. „ცოდნის სტრუქტურის ვიზუალიზაციისა და სწავლების ინტენსიფიკაციის შესახებ“, აკად. ი. ფრანგიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა“, მოხსენებათა თეზისები და კრებული, თბილისი, 1-4 ნოემბერი, 2010 წ.

2. V. Nikolaishvili, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi, Kostava st. 77, [nvantset@yahoo.com](mailto:nvantset@yahoo.com) D. Kapanadze, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi, Kostava st. 77, [david@gtu.ge](mailto:david@gtu.ge) T. Zhvania, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi, Kostava st. 77, [talizhvania@gmail.com](mailto:talizhvania@gmail.com) A.Kobiashvili, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi, Kostava st. 77, [ana\\_kobi@yahoo.com](mailto:ana_kobi@yahoo.com) “On an Information Structures Simulation Principle and Learning Activation” International Conference on New Trends in Education and Their Implications 11-13 November, 2010 Antalya-Turkey.  
[www.iconte.org](http://www.iconte.org).

3. ვ. ნიკოლაიშვილი, წრფივი ალგებრისა და ანალიზური გეომეტრიის ელემენტები, ლექციების კურსი, რეცენზირებული გამოსაცემად.